

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და რეკომენდაციები

„კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრისა“ (RECC) და კომპანია გრინტექსის მიერ 2015 წლის 27 ივლისს საზოგადოებრივი განხილვისთვის გავრცელებული მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის გეგმის სამუშაო ვერსიის თაობაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

21 აგვისტო, 2015 წ.

შესავალი

ა.წ. 27 ივლისს საზოგადოებრივი განხილვისთვის გამოქვეყნდა „კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის“ (RECC) და კომპანია გრინტექსის მიერ მომზადებული მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის გეგმის სამუშაო ვერსია, რომელიც დაფინანსდა ევროკავშირის პროექტის „საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოს დაცვა“ (EPIRBP) ფარგლებში.

აღნიშნული გეგმის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაცვა იმ რისკებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ ეკოლოგიურ სტატუსს ეკოლოგიური, ბიოლოგიური, ზოგადი ფიზიკო-ქიმიური და ჰიდრომორფოლოგიური მახასიათებლების ჩათვლით.

ქვემოთ წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს და რეკომენდაციებს განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე.

სააუზო მართვის გეგმის ფარგლები და შეზღუდვები

სააუზო მართვის გეგმის ყველაზე სერიოზული ნაკლოვანება დაკავშირებულია მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში მიმდინარე და დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების (ჰესები) თაობაზე გაკეთებულ ჩანაწერთან. კერძოდ, ანგარიშის 1.2. ქვეთავის („სამუშაოს ფარგლები, მეთოდოლოგია და შეზღუდვები“) თანახმად, “მოცემული გეგმის მიზნებისათვის, გარემოსდაცვითი ამოცანები და შესაბამისი ღონისძიებები დაისახა მხოლოდ ერთი „ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტისათვის“, სადაც 16-მეგავატანი მოქმედი ჰესი მდებარეობს. მდინარე ჭოროხზე მდებარე დანარჩენი მსგავსი კატეგორიის 8 წყლის ობიექტი ჩაითვალა გამონაკლისად, წყლის რესურსების მართვის საკითხის ტრანს-სასაზღვრო ხასიათის გამო. შესაბამისად, მათთვის არც გარემოსდაცვითი ამოცანები იქნა დასახული და არც შესაბამისი ღონისძიებები შემუშავებული”.

მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის წყლის ობიექტების ეკოლოგიურ სტატუსს ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ ჭოროხის აუზში მიმდინარე და დაგეგმილი დიდი და საშუალო ჰესების პროექტები უქმნის¹. შესაბამისად, რა იგულისხმება საკითხის „ტრანს-სასაზღვრო“ ხასიათში, რის გამოც მსგავსი გამონაკლისი იქნა დაშვებული, რატომღაც დოკუმენტში არსად არის განმარტებული და ახსნილი. აქედან გამომდინარე აღნიშნული ობიექტების გამონაკლისად განხილვა და

თბილისი, 0179, საქართველო
ვალთაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

¹ ჭოროხის ჰესების კასკადი:კირნათი, ხელვაჩაური 1 და 2; აჭარისწყლის კასკადი: შუახევი ჰესი, კ ჰესი; მაჭახლა 1 და 2;

მათი ზემოქმედების შესწავლის გარეშე, სააუზო მართვის გეგმის შემუშავება ეწინააღმდეგება როგორც ზოგადად სააუზო მართვის გეგმის არსს, ისე ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებს და ყოველგვარ აზრს უკარგავს განსახილველად წარმოდგენილ დოკუმენტს.

ზემოაღნიშნულის ფონზე გაუგებარია, რა დატვირთვა აქვს მართვის გეგმაში სხვადასხვა ჰესების გზშ ანგარიშებიდან² კოპირებული ადგილების არსებობასაც. მაგალითად, დოკუმენტის 3.2.4 თავში „ჰესები მდინარის საპილოტე აუზში“, რატომღაც აღწერილია მდ. ჭოროხზე და აჭარისწყალზე დაგეგმილი ჰესების განლაგება, დეტალური ტექნიკური პარამეტრები, დაწყებისა და დასრულების თარიღები: „...კვების ბლოკი დაყენებული იქნება მარჯვენა ნაპირზე, მდინარე ჭოროხის და მდინარე აჭარისწყლის შესართავთან ახლოს. შუახევის ჰესის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2013 წლის სექტემბერში, ხოლო სხვები უნდა დაიწყოს 2015 წელსა და 2017 წლებში. შესაბამისად პროექტი დასრულდება 2020 წელს (იხილეთ დანართი 3, დეტალური პარამეტრები ჰესებზე)“. თუმცა რა კავშირი აქვს აღნიშნულ ინფორმაციას განსახილველ დოკუმენტთან, გაუგებარია.

რჩება შთაბეჭდილება, რომ განსახილველად წარმოდგენილი ანგარიში რეალურად ემსახურება არა წყლის ობიექტების დაცვას მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში, არამედ ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ფიქტიური შესრულების დაწყების მცდელობას.

სააუზო მართვის გეგმის ხარისხი

ცალკე უნდა აღინიშნოს დოკუმენტის ძალზე უხარისხო და არარედაქტირებული ქართული თარგმანი ინგლისური ვერსიიდან, რის გამოც, პრაქტიკულად შეუძლებელია შინაარსის სრულფასოვანი გაგება. ტექსტში მრავლად გვხვდება როგორც გაუმართავი ქართულით, ისე შეცდომებით ნაწერი არამართო დასახელებები, არამედ მთლიანი პარაგრაფებიც კი.

გაუმართავი ქართულით და შეცდომით ნაწერი სიტყვების ზოგიერთი მაგალითი:

1. არაერთხელ არის ნახსენები ანგარიშში „ათჰესი“ - უნდა იყოს აწჰესი ანუ აჭარისწყლის ჰესი;
2. „შპს აჭარენერჯი 2007Co“ - უნდა იყოს შპს „აჭარ ენერჯი 2007“; - ა.შ.

გარდა ამისა დოკუმენტში მრავლად არის თავად ავტორების და/ან თარჯიმნის მიერ გაყვითლებული სიტყვები, ფრაზები და პარაგრაფებიც კი, რაც სავარაუდოდ საჭიროებდა შემდგომ განხილვა/დაზუსტებას:

1. „დაცვა/ლიმიტის მონიტორინგი“;
2. „მოხელილი თხევადი ცემენტის გამოყენება hose-towed ტექნიკის გამოყენებით“ - ტექსტში მეორდება 7-ჯერ;
3. „მთავრობა გეგმავს ააშენოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ახალი ნაგავსაყრელი ბათუმში. ფინანსური რესურსი იქნა მობილიზებული პროექტის განხორციელებისათვის, წინასწარი კვლევები და გარემოს დაცვისა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ESIA ჩატარდა და შერჩეული იქნა ადგილი. თუმცა, სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო.“ - ა.შ.

² 1. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის შეფასება – ნაწილი 6: აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ნაწილი. ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა; აპრილი, 2014.

2. ბუნებრივ და სოციალური გარემოზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. პროექტი მდინარე ჭოროხზე ჰესების კასკადების მშენებლობისა და ოპერირების შესახებ. „აჭარ ენერჯი 2007“; 2011წ.

გაუმართავი ქართულით ნაწერი პარაგრაფების ზოგიერთი მაგალითი:

1. 55 გვ. - „აღსანიშნავია, რომ მდინარე ჭოროხი და მისი ნაღვეი სრულად რეგულირდება მურათლის კაშხლით თურქეთში, რომელიც მდებარეობს საქართველოს საზღვართან ახლოს. ამას აქვს ძალიან ნეგატიური გავლენა ადლია-ბათუმის მონაკვეთის სანაპიროზე და ასევე, დააზიანა კალაპოტი და გამოიწვია ნაპირის ეროზია მდ. ჭოროხზე. დაგეგმილია დამატებითი 9 კაშხლის დადგმა. უმაღლესი კაშხალი მდებარეობს 223მ-ზე ზღვის დონიდან. ამჟამად, ერთ-ერთი მთავარი განვითარება ჭოროხი-აჭარისწყალთან დაკავშირებით ჰიდროელექტროსადგურის გამოყენებაზე არის საშუალო და დიდი ზომის ჰესების მშენებლობა.“

2. 59-60 გვ. – „იმ შემთხვევაში, თუ ჭოროხის ჰესების სადერივაციო წყალი არ იქნება საჭირო და ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება არასაკმარისი იქნება, დაახლოებით 30% კაშხლის ქვემოთ, ფაქტობრივად, კასკადი იმუშავებს და რეგულირებული იქნება მურათლი ჰესის მიერ (თურქეთი) და დაგეგმილი ჰესების კასკადის მიერ მდინარე აჭარისწყლზე. შესაბამისად, ოპერირების გავლენა საპროექტო კაშხლების ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მდინარეში არ იქნება მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით კირნათის კაშხლის, რომელიც მდებარეობს ნკმ დაშორებით მურათლის კაშხლიდან. ჰესს ექნება გავლენა ეკოლოგიური ხარჯზე, რათა შემსუბუქდეს ჰესების ტექნიკურ-ეკოლოგიური ხარჯი, ასევე დამოკიდებული იქნება წყლის რელიეფზე მურათლის და აჭარისწყლის ჰესებიდან.“

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო კაშხლების ჰესების ეკოლოგიური ხარჯი მდინარე ჭოროხზე დამოკიდებული იქნება ეკოლოგიური ხარჯის რელიეფზე მურათლი ჰესიდან, მდ. აჭარისწყლის ჰესიდან, რაც ყველა ჰესის ოპერატორისგან მოითხოვს კოორდინირებულ მუშაობას.“ - ა.შ.

ზემოაღნიშნულის გარდა გვხვდება სხვა უამრავი როგორც გრამატიკულად და სტილისტურად გაუმართავი, ისე ფაქტობრივად არაზუსტი და კონტექსტიდან სრულად ამოგლეჯილი ინფორმაციაც.

მაგალითად, 3.2.4 ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია:

გვ 54 - „აჭარას აქვს უზარმაზარი, მაგრამ გამოუყენებელი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი. რეგიონის მდინარეების საერთო სავარაუდო პოტენციალი 1000 მეგავატს შეადგენს და წლიური გამომუშავება - 8760 მლნ. ყველაზე ძლიერი მდინარეები: ჭოროხი, აჭარისწყლი, ჩირუხისწყალი, და კინტრიში. ბოლო 20 წლის განმავლობაში, 50-92 კვს ენერჯია უკვე გამომუშავებულია, რომელიც რეგიონის პოტენციალის მხოლოდ 1% შეადგენს. სავარაუდო პოტენციური დადგმული სიმძლავრე (P) პატარა მდინარეებისათვის აჭარის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 243,9 მეგავატია, წლიური ელექტროენერჯის წარმოება (E) - 1276,7 მკვტ. აჭარის ჰიდროელექტრო პოტენციალი ამჟამად გამოყენებულია ერთ-ერთი საშუალო სიმძლავრის და 4 მცირე ჰესის მიერ (SHPPs) (იხილეთ ცხრილი 12). ეს ჰესები ერთად მოიცავს აჭარის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის მხოლოდ 9%. უძველესი ჰესი ათჰესი აშენებულია 1956 წელს. ჰიდრო-ელექტროსადგურის წყლის ხარჯი, რომელიც მდებარეობს მდ აჭარისწყალზე ბათუმი-ახალციხის გზის ახლოს შეადგენს 45 მ³ / წმ. წყალადების სტრუქტურის მიხედვით წყლის მიწოდება ხდება ორი ტურბინით, რომელიც განთავსებულია ჰესის შენობაში, 2,860მ სიგრძით და 3.9მ დიამეტრი დერივაციული გვირაბის მეშვეობით. ამავე პერიოდში, ახალი 5 MW სიხშირის ჰიდროელექტროსადგური დაიდგა მდ. ჩირუხისწყალზე სოფელ დვანში და ასევე ექსპლუატაციაში შევიდა მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური სხალთა.“

გარდა იმისა რომ გაუგებარია, რა კავშირი აქვს სააუზო მართვის გეგმასთან ზემოთაღნიშნულ ინფორმაციას, ის შეიცავს არაზუსტ ფაქტობრივ მონაცემებსაც, მაგალითად, სხალთა ჰესის

ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებით ტექსტში არსებული ჩანაწერი. 2015 წლის ენერგობალანსის მიხედვით³ სხალთა ჰესი ექსპლუატაციაში არ არის შესული.

საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემა

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ისეთი სახის სტრატეგიული დოკუმენტები, როგორც მდინარეთა სააუზო მართვის გეგმებია, მომზადდეს ყველა დაინტერესებული მხარის სრულფასოვანი ჩართულობით და მონაწილეობით. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ ფონზე, რომ განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტი არის არა რიგითი, არამედ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პილოტური პროექტი, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს სხვა მდინარეთა მართვის გეგმებსაც საქართველოში.

სამწუხაროდ, მოცემულ შემთხვევაში, დოკუმენტის ავტორების მიერ შეგნებულად მოხდა დაინტერესებულ სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობის შეზღუდვა ანგარიშის განხილვის პროცესში, როდესაც შენიშვნების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა 30 აგვისტო, ხოლო თავად გეგმა გამოქვეყნდა მხოლოდ 27 ივლისს. აგვისტოს თვეში (შვებულების პერიოდი) ქვეყნისთვის უაღრესად აუცილებელ დოკუმენტზე შენიშვნების მიღება ვერ ჩაითვლება განხილვის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის კარგ პრაქტიკად.

დასკვნა და რეკომენდაციები

ზემოთაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია:

1. თავიდან მომზადდეს მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის გეგმა ყოველგვარი გამონაკლისების დაშვების გარეშე და ძირითადი ყურადღება გამახვილდეს სწორედ ამ აუზში დაგეგმილ ჰესებზე, მათ ზემოქმედებასა და ამ ზემოქმედების შერბილების/თავიდან აცილების ეფექტური მექანიზმების შემუშავებაზე საპროექტო დიზაინის გადახედვის ჩათვლით;
2. მომზადებული სააუზო მართვის გეგმის ქართული ვერსია გამოქვეყნდეს მხოლოდ სრული რედაქტირების შემდეგ;
3. დოკუმენტზე შენიშვნების წარსადგენად დაინტერესებულ სამოქალაქო საზოგადოებას მიეცეს გონივრული ვადა, რომელიც გამორიცხავს საშვებულებო პერიოდსა (აგვისტო), თუ დიდ დღესასწაულებზე დამთხვევას.

³ http://esco.ge/files/energobalans_2015_geo.pdf